საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ძ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.11.2017

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №096/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატი ლ. თ.-ს მიმართ / სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. თ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2017 წლის 21 ნოემბერს საჩივრით მომართა მ. ძ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის ოქტომბრის თვეში მან იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ ლ. თ.-ს სამოქალაქო საქმეზე. საჩივრის ავტორის

განმარტებით, ადვოკატი დაჰპირდა დახმარებას, სასამართლოში საქმის წარმოების გზით. მათ შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი 448 ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით იგი რეგულარულად აკითხავდა ადვოკატს მთელი წლის განმავლობაში და ეკითხებოდა საქმის მიმდინარეობის შესახებ, რაზედაც ადვოკატი ეუბნებოდა რომ ყველაფერი კარგად იყო. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა სასამართლოში ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა მისთვის, ადვოკატმა ქვითარი არ აჩვენა, რის შემდეგ საჩივრის ავტორს ეჭვი შეეპარა ადვოკატის მოქმედებებში და მიმართა პოლიციას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა პოლიციას განუმარტა, რომ საქმის შეუსრულებლობის შემთხვევაში საჩივრის ავტორს 3 კვირაში დაუბრუნებდა 350 ლარს, რაზეც საჩივრის ავტორი დათანხმდა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, იმის გამო, რომ ადვოკატმა არ შეასრულა დაპირება და არ დაუბრუნა აღნიშნული 350 ლარი მას, პოლიციამ საქმე გადასცა გამომძიებელ თ. გ.-ს. გამომძიებელმა გამოიძახა საჩივრის ავტორი და აღნიშნულ საქმეზე განცხადება დააწერინა, ხოლო ადვოკატს გაესაუბრა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა დადო პირობა, რომ აღნიშნულ თანხას ერთი თვის ვადაში დაუბრუნებდა მას.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ერთი თვის შემდეგ მივიდა ადვოკატთან თანხის დაბრუნების მოთხოვნით, ადვოკატმა გამოხატა უკმაყოფილება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საჩივრის ავტორმა პოლიციას მიმართა და თანხის დაბრუნებაზე უარი განუცხადა ამ საფუძვლით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 13 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მას მ. ძ.-მ იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა 2015 წელს. ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა მ. ძ.-ს მეუღლე. ვინაიდან ამ პერიოდისათვის მ. ძ. საქართველოში არ იმყოფებოდა, მის ძმასა და ზიანის მიმყენებ პირს შორის არსებობდა შეთანხმება ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საქმის შესწავლის პროცესში მან გაარკვია, რომ ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილი იყო არა მ. ძ. , არამედ მისი გარდაცვლილი მეუღლის ნათესავი. ასევე, ზიანის მიმყენებელი პირის მამამ მ. ძ.-ს ძმას გადასცა დოკუმენტი, ხელწერილი, მიყენებული ზიანის გამო 3000 ლარის ანაზღაურების შესახებ. რაშიც შედიოდა გასვენების და სასაფლაოს მოწყობის თანხა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მან მოვალის ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად მიმართა საჯარო რეესტრს, მოვალე აღმოჩნდა სოციალურად დაუცველი და მის სახელზე ქონება არ ირიცხებოდა. მოვალეს არ გააჩნდა შემოსავალი. ამ ყველაფრის მოკვლევის შემდეგ, ადვოკატი დაუკავშირდა მ. ძ.-ს და განუმარტა, რომ მისი მოთხოვნა იყო იურიდიულად გაუმართლებელი და სასამართლო არ დააკმაყოფილებდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მის ჰონორარს შეადგენდა 200 ლარი, რომელიც საჩივრის ავტორმა გადასცა სახელმწიფო ბაჟის ქვითართან ერთად. აღებული ჰონორარიდან 100 ლარი, მან საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ დაუბრუნა მ. ძ.-ს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. თ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ. თ.-მა არ შეასრულა მასსა და საჩივრის ავტორს შორის დადებული შეთანხმების პირობები, კლიენტს არ შეუთანხმა სტრატეგია, არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, კლიენტის ინფორმაციით ადვოკატს საერთოდ არ დაუწყია საქმის წარმოება და არ უბრუნებს აღებული ჰონორარის გამოუმუშავებელ ნაწილს, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო აშსკ 5.ა, 6.2 მუხლები; აპეკ-ის 8.5, 8.6 და 8.15 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 მ. ძ.-სა და ადვოკატ ლ. თ.-ს შორის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმდა 2015 წლის სექტემბერში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე.

4.1.2 ლ. თ.-მა საჩივრის ავტორს დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 100 ლარის ოდენობით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის სხდომის ოქმი.

მ. ძ. ს 2018 წლის 04 დეკემბრის განცხადება.

სადავო ფაქტები:

4.2 სადავო ფაქტები:

კოლეგიამ აღნიშნული ფაქტები მიიჩნია სადავოდ, რადგან მხარეებს აქვთ განსხვავებული პოზიციები.

4.2.1 ადვოკატმა ლ. თ.-მა საჩივრის ავტორისაგან მიიღო ჰონორარი 448 ლარი.

საჩივრის ავტორის პოზიციით, მის მიერ ადვოკატისათვის გადაცემულმა ჰონორარმა ჯამში შეადგინა 448 ლარი.

ადვოკატი განმარტავს, რომ მან კლიენტისაგან ჰონორარის სახით მიიღო 200 ლარი და 25 ლარი პირველადი კონსულტაციისათვის, ჯამში 225 ლარი.

კოლეგია გაეცნო მხარეთა პოზიციებს, საქმეში წარმოდგენილს მტკიცებულებებს და დაადგინა, რომ მ. ძ.-მა ადვოკატ ლ. თ.-ს საადვოკატო მომსახურების სახით გადასცა 200 ლარი, რასაც საჩივრის ავტორი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაზე თავისი ხელმოწერით ადასტურებს. ასევე, თავდაპირველი კონსულტაციისას, ლ. თ.-მა მიიღო 25 ლარი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. თ.-ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. თ.-ს მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

6.1.1 აშსკ 5 (ა) და აპეკ-ის 8.5 მუხლები: „ადვოკატი ვალდებულია კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“; ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.1.2 აშსკ 6.2 და აპეკ-ის 8.6 მუხლები: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“; ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ”.

6.1.3 აპეკ-ის 8.15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა, ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.2 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

6.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური მომსახურება გულისხმობს, როგორც შესაბამისი კომპეტენციის არქონას და კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის რისკის წარმოქმნას, ასევე ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობზე ინფორმაციის მიუწოდებლობას, კლიენტთან დაცვის სტრატეგიის შეუთანხმებლობას, კლიენტის კანონიერი რჩევების გაუთვალისწინებლობას, კლიენტის გარეშე ისეთი მნიშნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც არსებითად უკავშირდება კლიენტის საქმის შედეგს და ა.შ. შესაბამისად, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორთან დაცვის სტრატეგიის შეუთანხმებლობა და სარჩელის კლიენტისაგან დამოუკიდებლად წარდგენა, რის თაობაზეც კლიენტი არ იყო ინფორმირებული, ჩაითვლება ადვოკატის მიერ არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მომსახურებად.

6.4 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“(იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #096/11, 25.07.2012)

6.5 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის N037/14 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და

განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“. (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმე N037/14, 10.12.2014)

6.6 ეთიკის კომისიამ 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 098/17 აღნიშნა, რომ „თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერ თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს რა ოდენობა იქნება პროპორციული და რომელიმე მხარის მიერ სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს აღნიშნული თანხა კლიენტს სხვა ფულად სახსრებთან და საქმის მასალებთან ერთად.“ (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #098/17, 28.01.2018)

6.7 კომისია განმარტავს, რომ კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს უარი ადვოკატის მომსახურებაზე და ადვოკატს წარმოეშობა ეთიკური ვალდებულება - სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს მის მიერ გაწეული მომსახურებისა, მის მიერ გაწეულ ხარჯთან ერთად გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი კი დაუბრუნოს კლიენტს.

6.8 განხილვის კოლეგიის შეფასებით, მ. ძ.-სა და ადვოკატ ლ. თ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2015 წელს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატმა აიღო ვალდებულება ეწარმოებინა მ. ძ. ს სამოქალაქო საქმე, სასარჩელო წარმოების გზით, რისთვისაც მას მ. ძ.-მა გადასცა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 200 ლარი. ადვოკატმა განახორციელა შემდეგი მოქმედება: საქმის შესწავლის პროცესში გაარკვია, რომ ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილი იყო არა მ. ძ. , არამედ მისი გარდაცვლილი მეუღლის ნათესავი. ასევე, ზიანის მიმყენებელი პირის მამამ მ. ძ. ს ძმას გადასცა დოკუმენტი, ხელწერილი, მიყენებული ზიანის გამო 3000 ლარის ანაზღაურების შესახებ, რაშიც შედიოდა გასვენების და სასაფლაოს მოწყობის თანხა. ადვოკატმა მოვალის ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად მიმართა საჯარო რეესტრს, მოვალე აღმოჩნდა სოციალურად დაუცველი და მის სახელზე ქონება არ ირიცხებოდა. მოვალეს არ გააჩნდა შემოსავალი. ამ ყველაფრის მოკვლევის შემდეგ, ადვოკატი დაუკავშირდა მ. ძ.-ს და განუმარტა, რომ მისი მოთხოვნა იყო იურიდიულად გაუმართლებელი და სასამართლო არ დააკმაყოფილებდა. ასევე, ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილი, 100 ლარი. წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად ირკვევა, რომ ვინაიდან მ. ძ. იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ადვოკატს მასთან ჰქონდა სატელეფონო

კომუნიკაცია. ასევე, როდესაც მ. ძ. საქართველოში ჩამოდიოდა, ის პირადად ხვდებოდა ადვოკატს.

6.9 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ. თ.-ს გაწეული საადვოკატო მომსახურებით არ დაურღვევია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილები.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №096/17 ადვოკატ ლ. თ.-ს /სიითი№/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32).

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/